ხელშეკრულება # 88
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

29.07.2021 წელი

ქ. თბილისი

ერთი მხრივ, ს.ს. **„ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის შოთა გოგიჩაიშვილის სახით, და მეორე მხრივ, **სს გეფა** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის, მიხეილ აბრამიძის მინდობილი პირის, საბითუმო გაყიდვების და სპეციალური პროდუქტების დეპარტამენტის დირექტორი დავით სულაბერიძეს სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად ელექტრონული ტენდერის **(SPA210001850)** საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში -ხელშეკრულება) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია: **ფარმაცევტული პროდუქტების (CPV: 33600000)** შესყიდვა **SPA210001850** წინამდებარე ხელშეკრულების პირობებისა და სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2 დაფინანსების წყარო: ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები;

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულებაა: **48,996.80** (ორმოცდარვა ათას ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი ლარი და 80 თეთრი) ლარი;

2.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მოწოდებული შესყიდვის ობიექტის შესაბამისად მხარეთა მიერ ხელმოწერილი მიღება–ჩაბარების აქტის და/ან კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა) დადასტურების საფუძველზე;

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის ორივე მხრიდან ხელმოწერიდან და/ან კანონმდებლობით დადგენილი თანმდევი დოკუმენტების მოწოდებიდან არაუგვიანეს 60 (სამოცი) კალენდარული დღის განმავლობაში ;

4. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიწოდებულად მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება–ჩაბარების აქტის და/ან კანონით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (სასაქონლო ზედნადები/საგადასახადო ანგარიშ–ფაქტურა) დადასტურების საფუძველზე;

4.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე (ასეთის შედგენის შემთხვევაში) ხელმომწერ უფლებამოსილ პირს წარმოადგენს შოთა გოგიჩაიშვილი – აღმასრულებელი დირექტორი;

5. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა და ადგილი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ეტაპობრივად შემსყიდველის მოთხოვნიდან 1 დღეში, მისამართზე ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის #16.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1 <u>შემსყიდველს უფლება აქვს :</u>

- ნებისმიერ დროს განახორციელოს კონტროლი (ინსპექტირება) და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე;

6.2 <u>შემსყიდველი ვალდებულია:</u>

- უზრუნველყოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
- დაიცვას ხელშეკრულების სხვა პირობები;

6.3 <u>მიმწოდებელს უფლება აქვს:</u>

- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით;

6.4 <u>მიმწოდებელი ვალდებულია:</u>

- მიაწოდოს შემსყიდველს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით დადგენილი ყველა პირობა;

7. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს მაია კობაიძე (აფთიაქის გამგე);

7.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე გაწეული ან გასაწევი მომსახურების ხარისხის კონტროლს;

7.3 ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულების პიროებების შეუსრულებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტხელო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.01%-ის ოდენობით;

8.2 იმ შემთხვევაში თუ პირგასამტეხლოს ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%, შემსყიდველი ორგანიზაცია იტოვებს უფლებას ცალსახად შეწყვიტოს ხელშეკრულება;

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;

9.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;

9.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ;

9.5 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის;

11. დავები და მათი გადაჭრის გზები

11.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 5 მარტის ჩათვლით;

მხარეთა რეკვიზიტები:

ს.ს. „ინფექციური პათოლოგიის, შიდსისა და კლინიკური იმუნოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი" **საიდენტიფიკაციო კოდი:** 212153756 **მის:** ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის -#16 **საბანკო რეკვიზიტები:** **სს თიბისი ბანკი** **ბანკის კოდი:** TBCBGE22 **ანგარიშის ნომ:** GE29 TB71 4413 6020 1000 01	**სს გეფა** **საიდენტიფიკაციო კოდი:** 201991229 **მის:** ა. ბელიაშვილის ქ. N142 **ტელ.** +995 32 2911900 **საბანკო რეკვიზიტები:** **სს თიბისი ბანკი** **ბანკის კოდი: TBCBGE22** **ანგარიშის ნომ: GE47TB7079136020100017**

აღმასრულებელი დირექტორი:
შოთა გოგიჩაიშვილი

დირექტორის მინდობილი პირი :
დავით სულაბერიძე

INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC

Digitally signed by INFECTIOUS DISEASES, AIDS & CLINICAL IMMUNOLOGY RESEARCH CENTER JSC
Date: 2021.07.29 16:11:43 +04'00'

GEPHA JSC

Digitally signed by GEPHA JSC
Date: 2021.07.29 16:41:07 +04'00'